


№ 15.—1914. კვირა, 15 ივნისი.



მგოსანი კ. მაყაშვილი (მის [illegible])

№ 15

# შინაარსი


1) პირველი ნაბიჯი, მეთაური 1
2) სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა 2
3) ქება გაზაფხულისა, ლეო ქიაჩელისა 3
4) ქართული პლასტიკური ხელოვნება, მხატვარ მოსე თოიძისა 4
5) ს მელიტონ გობეჩია, ი—ისა 5
6) ამშობლო სტირის... ლექსი გ. ლეონიძისა 5
7) გ. მუმლაძის მიერ ოზურგეთის ახალ თეატრის გახსნაზე წარმოთქმული სიტყვა 1 თიბათვეს. 6
8) იმერული სცენა, პლ. კორიშელისა 6
9) გამომტაცეს, გამიფრინეს!.. ლექსი იასი 7
10) მუსიკა და ქართველი მუსიკოსნი, ი. შარაშიძისა 7
11) აპრილი და მაისი, ლექსი ი. გრიშაშვილისა 9
12) „იასონის ოინები“, ვოდევილი 2 სურათად, ივ. გომართელისა 10
13) სქესობრივი ცხოვრება და ხელოვნება, ლ. ცაგარელისა 12
14) ქართველ მწერალთა წერილები, სთეფ. მგალობლიშვილისა 13
15) ხონის სათეატრო საქმები, თეზეოსისა 14
16) სამტრედიის წარმოდგენები, ს. კიკაჩეიშვილი 15
17) თეატრი საზურთალოზე, საზურთალოელისასა 15
18) წვრილი ამბები 16
19) კოტე მესხის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლად 16


# მოწოდება

ვაგროვებთ ყოველგვარ მასალას, ქართულ თეატრის მუზეუმისათვის გამოსადეგს; ამიტომ ვსთხოვთ ყველას, ვისაც მოეპოვება ძველი თუ ბოლოონდელი აფიშა, პროგრამა, მსახიობთა, დრამატურგთა, სასცენო მოღვაწეთა, მუსიკოსთა, მხატვარ-მოქანდაკეთა სურათები, ჯგუფობრივ ანუ ცალკე გადაღებული, ნახატები, ხელნაწერები (ძველი დროისა—გარდაცვალებულთა), თავისი სახელ-გვარის წარწერით გამოგზავნონ (Тифлисъ, Грузинскій театръ. Ред. „Театри да Цховреба“—Іосифу Имедашвили). მოგროვილი მასალა შესაფერი წესრიგით და ნომრით დაცულ იქნება განსაკუთრებულ, უშიშარ ადგილას, ქართულ თეატრში.

რედაქცია **„თეატრი და ცხოვრება“**


აგენტებისა და კოოპერატივების ხელმძღვანელთა საყურადღებოთ

დაიბეჭდა **ახალი ოთხმოქმედებიანი პიესა**

**სოფლის მასწავლებელი**

(სცენები კოოპერაციის განვითარებიდან)

**„თეატრი და კოოპერაციის“** დამატებით

ეს წიგნი ღირს ყდით 7 შაური, მაგრამ **20 ივნისამდე** იმართება ხელის მოწერა და ხელის მომწერნი მიიღებენ მას ყდით **მხოლოდ ერთ აბაზათ.**

მოვუწოდებთ კოოპერატივების ხელმძღვანელებსა, ჟურნალ-გაზეთების აგენტებსა, სოფლის მასწავლებლებსა და მღვდლებს დაიბარონ საკვიტანციო წიგნაკები ხელის მოწერის მისაღებად. **ეს იქნება საუკეთესო ფორმა დახმარების საკოოპერაციო ლიტერატურის გამოცემა—გავრცელებაში.**

მისამართი წერილებისა და ფულისთვის: Кутаисъ, редакція „Коопераци̇я“, почт. ящ. № 68.

„კოოპერაციის“ რედაქცია



ქართული თეატრი

**დასაწყისი საღამოს 8½ ს.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია ბილეთები იყიდება კასაში

დღეს, კვირას, 15 ივნისს **შალვა დადიანის** თაოსნობით წარმოდგენილი იქნება პირველად თბილისის სცენაზე **ნინო ნაკაშიძის** პიესა

ვინ არის დამნაშავე?

დრამა 4 მოქ. 7 სურათად **მონაწილეობენ:** ქ-ნნი ანდრონიკაშვილი ელო, ლეჟავა ო., ლოლობერიძე ო. ბ-ნნი: დადიანი, კორიშელი, მურუსიძე, ურუშაძე, ხონელი. სალიანგო სანახავეშში—სახალხო თეატრის სცენის მოყვარენი და გურული მომღერლები. **პიესის აღსრულების დროს გურული კილო არ იქნება დაცული**



# ხარფუხის საზოგადო კლუბი

**29** მაისიდან გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხაილოვის პროსპექტზე, სინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდზე, № 131, ინჟინერ ბარტის ბაღში.

## დღეს, კვირას, 15 ივნისს

# სინემატოგრაფი, მუსიკა და ცეკვა

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან 25 კ. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ქალები და სტუდენტები შესვლის ფასს არ იხდიან

კლუბი ვრცელი და ყოველმხრივ მოწყობილი ბაღი შეიძლება გაიცეს სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით გამართულ საღამოებისათვის.




№ 15

წლიურად 5 მ , ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან (,,სოროპანი''-ს სტამბაში). მისამართი:

**Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили.**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

№ 15 | კვირა, 15 ივნისი | 1914 წ.

## 15 ივნისი

**პირველი ნაბიჯი.** აღგვისრულდა დიდი ხნის ნატვრა, შეინგრა ურწმუნოების კედელი, გალხვა გულციობის ყინული,—შესდგა სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა...

8 ივნისი, გასული კვირა, ერთ დიდებულ დღედ დარჩება ქართული სასცენო ხელოვნებისა და ჩვენის საზოგადოებრივ გათვითცნობიერების ისტორიაში...

გულის ფანცქალით მოველოდით ყრილობის გახსნას,—მრავალ ურწმუნოთაგან გულგატეხილ ნი ეჭვით უყურებდით ჩვენს თავს, თითქოს ვიღაცის და რაღაცის გვერიდებოდა, გვრცხვენოდა. ხმის ამოღებასაც კი ვერა ვბედავდით, ჩვენი პირველი სიტყვა თითქო სადღესასწაულო არ იყო, საზეიმო, მაღალ ფარდიანი, მაგრამ გულწრფელობით, საქმის სიყვარულით კი გამთბარი...

დაიწყო სხდომები, ამეტყველდა ენა, ქართულმა მჭევრმეტყველებამ ფრთა გაშალა და ურწმუნო თომანიც-კი დაარწმუნა, რომ ქართული სცენის მუშაკი გაზრდილა, გათვითცნობიერებულა, რომ ქართულ სცენას მრავალი საჭირბოროტო კითხვა აქვს, ბევრი რამ მოსაგვარებელ-გასარკვევი და დღეის შემდეგ შეუძლებელია ძველებურად ცხოვრება,—საჭიროა განახლება, აღორძინება, წინსვლა...

ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელნი, სხვადასხვა რწმენა-მიმართულების მოკამათენი, ისეთის სასოებით და სიყვარულით ეპყრობოდენ აღძრულ საკითხს, რომ მსგავსს არსად შევსწრებივართ...

მართლაც რომ ხელოვნების ტაძარია ის უდიდესი, უწმიდესი სამსხვერპლო, სადაც კაცთა გულნი ერთდებიან, რა მიმართულებისაც უნდა იყვნენ, სული სპეტაკდება, შენ-ჩემობისაგან იკვევა და ყოველი მსმენელ—მაყურებელ—მონაწილე ერთის ხმით ამოიძახებს: მე—ადამიანი ვარ!.. ძირს სულიერი ბორკილები, თავისუფალ რწმენის შემბორკილები...

ყრილობა დაიწყო საგულისხმო სიტყვა-მილოცვებით, სხდომები—ფრიად შინაარსიანი მოხსენებებით, კამათი—დინჯი, დარბაისლური, ცოდნის ნათელით მოსილი პაექრობით...

ვიმეორებთ, ასეთი დინჯი, საქმიანი, სიყვარულით გამთბარი სხდომები ჩვენ მეორე არსად გვინახავს...

სხდომებს დაესწრო პირველად 175 წევრი, მეორედ—195, მესამედ -223 და მებრ... ასე თანდათან მატულობდა მონაწილე წევრთა რიცხვი... კამათი განსაკუთრებით სამშობლო ენით სწარმოებდა...

სხდომებზე ბევრი საგულისხმო საკითხი აღიძრა: ქართული თეატრის დაფუძნების დღედ 1850 წ. 2 იანვარი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ 1790—91 წ., როდესაც გაიმართა პირველი ქართული წარმოდგენა, რითაც ქართული კულტურის ისტორიას უფრო შორს გადვიტანთო, რეპერტუარი (ეროვნულ-იდეური, მასთან მხატვრული, როგორც ჩვენც არა ერთ გზის გვითქვამს და კლასიკური), დრამატურგთა კავშირი (სასურველია დაარსდესო), სამშობლო ენის სიფაქიზისი დაცვა, დრამატ. საზოგადოებთა შეკავშირება და სხ., მაგრამ ყველას აქ არ ჩამოვთვლით და ვიტყვით მხოლოდ, რომ პირველი ნაბიჯი დიდებული საქმისა უკვე გადიდგა და ახლა ისღა დაგვრჩენია, შემდეგი ნაბიჯები წინ, წინ გადავსდგათ...

ღრმად უნდა გვწამდეს, რომ ჩვენი სამშობლო დღევანდელ ქაოტიურ მდგომარეობას მხოლოდ სამშობლო სცენის, მუსიკისა და, საზოგადოდ, ხელოვნების აღყვავებით დააღწევს.

იმედი ვიქონიოთ, იმედი, რომ ხელოვნების მსახურნი თუ დღემდე დაქსაქსულნი იყვნენ, მასთან ჩვენი ერიც დაქსაქსულია, დღეის ამის შემდეგ შევერთდებით სცენის — ხელოვნების — ირგვლივ და ერთად ვიმუშავებთ ჩვენის ქვეყნის საკეთილდღეოდ. ჩვენ როდი გვფერობს ერთმა ალთას, მეორემ ბალთას გავიწიოთ და ოცნებაში გამოხატულ ბუნდოვან ცნებათა ტრფიალში დღევანდელ საჭირ-ბოროტო საკითხებს გვერდი ავუხვიოთ...

სიყვარული, ღრმა სიყვარული გამოვიჩინოთ უკვე სიყვარულით დაწყებული საქმისადმი, ვიმუშაოთ და არაფერი გაგვიჭირდება...

„კლდეს გახვრეტს წვეთი, თუ მუდამ
ერთ ადგილს დაედინება!"

პირველი ნაბიჯი გადიდგა — გაუმარჯოს მის წინმსვლელობას...

## სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა

**პირველი დღე**

კვირას, 8 ივნისს, 1914 წელს გაიხსნა სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა.

დილიდანვე ქართულ თეატრის ფოიეში მრავალმა დეპუტატმა მოიყარა თავი.

პროვინციიდან სცენის მოღვაწენი და მსახიობნი ბევრია ჩამოსული ყრილობაზე დასასწრებლად. ყველა მოუთმენლად მოელის კრების დაწყებას.

12½ საათზე გაისმის ზარი და ქართულ თეატრის დარბაზი ივსება ხალხით. სცენაზე არიან მომწყობ კომისიის წევრნი და ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც ხსნის ყრილობასა და დამსწრეთ მიმართავს სიტყვით, რომელშიაც აღნიშნავს დიად ისტორიულ მნიშვნელობას სცენის მოღვაწეთა ყრილობისას. შემდეგ სიტყვა დაეთმობა ყრილობის მომწყობ კომისიის თავმჯდომარეს, ბ. ა. ავალიშვილს. მოკლე სიტყვის შემდეგ, ბ. ავალიშვილმა დაასახელა პრეზიდიუმის კანდიდატები: საპატიო თავმჯდომარედ — მხცოვანი მგოსანი აკაკი წერეთელი, რომელსაც ეგზავნება შესაფერისი დეპეშა; ყრილობის თავმჯდომარედ: გიორგი მიხეილის ძე ლასხიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგებად: ვლად. ალექსი-მესხიშვილი, ალექსანდრე მიხეილის ძე კრინიცკი, თავ. იოსებ ალ. ბარათაშვილი. დასახელებულმა კანდიდატმა ნიკ. ქართველიშვილმა ავადმყოფობისა გამო უარი განაცხადა და მის ნაცვლად არჩეულ იქმნა თავ. კიტა აბაშიძე. მდივანთა კოლლეგიაში: კონსტ. ანდრონიკაშვილი, შალვა დადიანი, იოსებ რომანიშვილი, იოსებ იმედაშვილი, სიო ჰანტურიშვილი და პოლ. ირეთელი. ყველა ზემო აღნიშნული პირნი ამორჩეულ იქმნენ. თავმჯდომარემ, ლასხიშვილმა წარმოსთქვა სიტყვა და უსურვა ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა. შემდეგ დაიწყო მილოცვები. ყრილობას მიულოცეს:

„თეატრი და ცხოვრების" რედაქციისაგან იოსებ იმედაშვილმა, „სახალხო ფურცლისა" და სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების სახელით სანდრო შანშიაშვილმა, „ზაკავკაზსკაია რეჩის" წარმომადგენელმა დიმ. დუმბაძემ, ხარკოვის უნივერსიტეტთან არსებულ ქართველთა სათვისტომოს წარმომადგენელმა მუმულაიამ, მოსკოვის ქართ. საზოგადოების წარმომადგენელმა დ. არაყიშვილმა, ჭიათურის დრამ. საზოგად. გამგეობის წარმომადგენელმა ბ. ლეჟავამ, ჭიათურის დრამ. წრის წარმომადგენელმა ბ. ი. ვარაზაშვილმა, „ახალი კლუბის" სახელით კ. ანდრონიკაშვილმა, საგარეჯოს დრამ. წრის სახელით სოფრომ ტარუაშვილმა, ჭიათ. შავიქვის მრეწველთ საბჭოსაგან თ. კიტა აბაშიძემ. წაკითხულ იქმნა მოსალოცი დეპეშები: ქართლ-კახეთის თავ.-აზნაურობისა, თავ. კონსტ. ერისთავისა, ქართველ მსახიობთაგან, ა. პურადაშვილისაგან, სოხუმის ქართვ. წრისაგან, ხონის დრამ. წრისაგან, ზარდალიშვილისა, გრიშაშვილისა და მუმლაძისაგან, დავითაშვილისა და ახვლედიანისაგან და სხვა.



პირველი მსახიობქალი **ბარბარე ავალიშვილისა**

ქართველ სცენის მოღვაწეთა ყრილობის გამო

ხაშურის დრამ. წრისა და „ბათუმის გაზეთისაგან“ ყრილობას მიულოცა კ. ნ. სიხარულიძემ.

პრეზიდიუმმა შეიმუშავა გეგმა მოქმედებისა და გამოუცხადა ყრილობას, რომ საჭიროა სპეციალური კომისია საპროფესიონალო საკითხთა გასარკვევად. კომისიაში არჩეულ იქმნენ კოოპტაციის უფლებით: გუნია, გოცირიძე, დადიანი, ვლ. მესხიშვილი, ნუცუბიძე, წუწუნავა და აგრეთვე თითო წარმომადგენელი ყველა დრამ. საზოგადოებათა, წრეთა და ჯგუფთა. ამ კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა თბილ. ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობის წარმომადგენელი ი. გედევანიშვილი. სპეციალური კომისია მუშაობს დღისით, ყრილობის სხდომები-კი—საღამოობით. სხდომა გადაიდო ორშაბათს, 9 ივნისის, 7 საათისათვის*).

*) ყრილობის წევრნი მთელი კვირის განმავლობაში ყოველ დღე მუშაობდენ და შესაფერი დადგენილებანიც შეიმუშავეს. ზოგიერთ მათგანს შემდეგ დავბეჭდავთ. **რედ.**

# ქება გაზაფხულისა

— გამარჯობა!.. გამარჯობა, გაზაფხულო!!

აჰა, შენი პირველი გამოხედვა.—იგი მცენარეთ აკოკრებს!!. აჰა, შენი ბუნება!.. იგი ქალწულობის წილისებრ უმანკოა და უცოდველი!!. აჰა, ჰაერიცა!.. იგი სუნთქვაა შენი მსუბუქი და წმინდა!!.

— გამარჯობა!!

უმანკო ხარ, ვით უსაკო ასული! ბაგენი შენნი—მიხაკის წითელი ფოთოლნი, და ღაწვნი შენნი—გასაშლელ ვარდის მკრთომარებანი!.. კბილნი შენნი—შროშანის ძივები, და თვალნი შენნი – უჩინარი ვნება!!

ჯერ უმტევნოა მკერდი შენი და სწორი, ვით ზედაპირი დილის წყნარი ზღვისა, რომელიც ღუღილის ზვირთების, ვნების მთების, მოლოდინშია და მუცელი შენი შეუნძრეველი კვირტი, სიმწრისა და სიტკბოების უცოდინარი!

— მოვედ!.. მოვედ, მშვენიერო და სატრფო, რათა გიხილო სავსებით და შეგიყვარო, რამეთუ ცხოვრება ხარ!!

— მოვედ!.. მოვედ, მშვენიერო და სატრფო, რათა გეამბორო და გავიხარო, რამეთუ ცხოვრება ხარ და მსურხარ!!

* * *

— აჰა, მოსულხარ, დაასაკებული, ალვსილო!!

ვით გაშლილი ვარდი ყნოსვად, ისე ღაწვნი შენნი კოცნად მიწვევენ!.. თვალნი შენნი ვნების ცეცხლს მაფრქვევენ, და სურვილი შენი ცხადია!!

შენი მკერდის ზღვის ზედაპირი მთებს გაუპია, შენის სრულასაკობის ძუძუთ, რომელნიც ქარვასლანი არიან ნეტარების, და ტანი შენი —სიყვარულის ღვინის შადრევანია!

— აჰა, მე—ქარვასლასა თანა შენსა, რამეთუ მუნ სდის მდინარე წარუვალობის, და მსურს ვიხილო წყარო მისი!.. შენის სიყვარულის ღვინის შადრევანს დავეწაფვი მწყურვალი მისი და დავითვრები, რამეთუ მწყურია სიცოცხლე, და ღვინო შენი—მომნიჭებელი მისი!!

— ამბორმყავ და მასვი თაფლი შენის პირისა!! ამბორმყავ და შთამბერე სუნთქვა შენის



ი. ბარველი ა. წერეთლისა დ. აწყურელი

ქართულ სცენის მოღვაწეთა ყრილობის გამო.

მკერდისა. რამეთუ თაფლი შენი—ცხოვრებაა, და სუნთქვა შენი—უკვდაება!!

* *
*

ზამთრით ვარ მოწყლულ, და სული ჩემი შფოთვის ცეცხლზე იწვის, რამეთუ ვისმინე ხმა სიკვდილისა ამ ზამთარ და ვიგრძენი, ვითარ შემეხო ფრთე უკუნეთის!!

— სასო ჩემი - შენი ამბორი! სიცოცხლე ჩემი—შენი ღვინო, და სუნთქვა შენი—უკვდაება ჩემი!!

— აჰა, მასმინე ხმა შენი, სატრფო და მშვენიერო!.. მასმინე ხმა შენი და აღმოშალე სმენისაგან ჩემისა ხმა იგი სიკვდილის, რამეთუ არ დამკვიდრებულა სიბრძნე სულსა შინა ჩემსა და შიში მიპყრობს მე!

— ხმა შენი—საამო, ტკბილ და სასურველ!.. ხმა სიკვდილისა—საშინელ და ტყვედმქნელ!

* *
*

... მე—წყლული ტანსა შენსა ზედა. და სიმჭკნარე გაზაფხულობისა შენის! მე - კრძალობა გარეშე შენის მთლიანობისა!.. მე - კვნესა და ყვირილი გარეშე შენის სიმფონიისა! რამეთუ სიკვდილი მახლავს მე და სახე ჩემი აუღორძინებლად წარმავალია!

— სახე შენი—მრავლობა და უკვდაება!.. სახე შენი - მსოფლიო და უსამანობა!

— შეგიყვარე შენ, რამეთუ სრულება ხარ, და სულსა ჩემსა სწყურხარ!

— მოვედ და ამბორმყავ!.. მოვედ და შემიყვარე!.. რამეთუ ამბორი შენი—დათურგვნაა სიკვდილის, და სიყვარული შენი—ხსნა ჩემი!!

* *
*

— აჰა, ტკბილია თაფლი შენის პირისა!.. მათრობელია ღვინო შენის ტანისა, და გამკურნებელი - შადრევანი სიცოცხლის ეშხისა შენის!!

**ლეო ქიაჩელი**

## ქართული პლასტიკური ხელოვნება

ქართულ პლასტიკურ ხელოვნებაზე რომ მთლიანი, ყოველმხრივი დასაბუთებული აზრი გამოირკვეს მომავალის გასათვალისწინებლად, საჭიროა დიდი ცოდნა და უფრო გრძნობა უგულითადეს ეროვნულ მოტივებისა. საკმარისი ცოდნა არავისა გვაქვს ჯერჯერობით, მაგრამ ეს, როგორც ეტყობა, მოხერხდება ორ-სამ უანგარო მოღვაწეთაგან მუზეუმის დახმარებით.

რაც შეეხება გრძნობას, რომელიც პირველი საფუძველია პლასტიკურ ხელოვნებისა, მიტოვებულია უყურადღებოდ. რომ ქართველთ პლასტიკური ხელოვნება ქართული იყვეს და ქართული მოტივები აცოცხლებდენ ქართველ ერს, საჭიროა ერთი თაობა მეორეს შეუჩერებლივ გადასცემდეს, თვისი წვლილის შეტანით, უკვდავ მოტივებად განხორციელებულს, ერის საუკუნოებით შეკოწიწებულ გრძნობა-ემოციებს. ეს კი სრულიად დანგრეულ-დაწყვეტილია ჩვენში გარეშე პოლიტიკურ მიზეზებით, როგორც ამ ორმოცი წლის წინეთ და უფრო ჩვენის გაუფთხილებლობით და შეუგნებლობით. ძალიან საშინელი დროა ქართულ პლასტიკურ ხელოვნებისათვის. შორს წარსულში მოსჩანს უმაღლესი ნიჭი ხელოვნებაში ქართველი ერისა. ამას მოწმობენ ჩვენის ეკლესიების ფრესკები და ეკლესიათ ხუროთმოძღვრება, მაგრამ ეს ისე შორს არის და ისე დიდებული, რომ შეიძლება ამ გარემოებამ სიკვდილი არგუნოს თანამედროვე ხელოვნებას. არამ თუ ახლო წარსულმა გადმოგვცა ქართულ პლასტიკურ ხელოვნების სკოლა კარგი ან ცუდი, სრულიად არაფერი: მეოცე საუკუნეში ვართ, სდუღს ხელოვნება, ეცილებიან სხვადასხვა ერნი ერთმანეთს თვის თავმოყვარეობას, თვის ნიჭს ხელოვნებით ამცნობენ ქვეყანას; კვლევა-ძიება ზოგისთვის ტრაგიკულად თავდება, ზოგს მთელი კაცობრიობა გვირგვინით ამკობს; ომია დაუნდობელი და შეუჩერებელი და ქართველ ერს-კი ასეთი კითხვა დაუყენა გარემოებამ: გსურს სიცოცხლე, ორგანიულად მთლიანი განვითარება და ღირსეული ადგილი კაცობრიობაში? —

მოისმინე შემდეგი...

მხატვარი **მოსე თოიძე**



† მელ. გობეჩია

ხარკოვის საკატორღო ციხეში გარდაიცვალა პოლიტიკური პატიმარი მელიტონ გობეჩია...

სიცოცხლეში თითქმის ვერცკი ვამჩნევდით, ახლა ვგრძნობთ, რა სათვალჩინო მუშაკთაგანი დააკლდა ჩვენის ქვეყნის საერთო ყანას...

მელიტონი დაიბადა ზუგდიდს, სამეგრელოში, 188 წ. სასტატო სემინარიაში სწავლის დამთავრების შემდეგ „წ. კ. ს." გომარეთის სასწავლებელში მასწავლებლობდა, ამავე დროს მწერლობდა კიდეც და პირველი ლექსთა კრებული — „ჰანგები" — დაბეჭდა 15—17 წლის წინად. მუშაობდა დროგამოშვებითი, გამოცემებში, ერთხანად გაზეთსაც აწარმოებდა, მაგრამ იგი უმთავრესად ცნობილი იყო ვითარცა ხალხში მომქმედი. მონაწილეობას იღებდა განმანთავისუფლებელ მოძრაობაში და რეაქციის გაძლიერების ხანს ევროპას განივლტო. ბედმან 1910 წ. შემახვედრა მეტეხის ციხეში—საერთო საკანში, სადაც დრებით ვისხედით. პატიმართა შორის ბევრი იყო სულიერად დაცემული, რწმენა-გამქრალი. განსვენებული ამ ბანაკს არ ეკუთვნიდა: გულუბრყვილო, ალალგული, რწმენა-მოსილი, უკეთესის მოიმედე, ბაიბუათაც არ იმჩნევდა ტყვეობას და, მახსოვს, ხუთი-ექვსი ლექციაც წაიკითხა ესთეტიკის შესახებ. კერძო საკნებში რომ გადაგვიყვანეს, არც იქ მცონარეობდა: კითხულობდა, სწერდა, პატიმრთ (მსურველთ) ფრანგულს ენას ასწავლიდა...

საბრალმდებლო ოქმი რომ ჩააბარეს, რომლითაც 4—8 წლის კატორღა მოელოდა, ვითომც არაფერიაო, გაიღიმა. ოქმში, სხვათა შორის, მელიტონისავე უბის წიგნიდან მოყვანილი იყო ისეთი ადგილი: „ძვირფასო სამშობლოვ, ვგრძნობ ჩემს მოუმზადებლობას... ამიტომ დროებით გშორდები და მივალ უცხო ქვეყანას, რათა შესაფერი ცოდნით აღვიჭურვო, რომ შემდეგ დავბრუნდე და უფრო ნაყოფიერად გემსახურო..." ასეც იყო, მელიტონი ნივთიერად დიდათ შევიწროვებული, პარიზში — სორბონაში სწავლობდა, განსაკუთრებით ლიტერატურას, საშოლვაწეოდ ემზადებოდა. ციხეში ვიღაცამ უსაყვედურა — სამშვიდობოს გასული, შინ რაღას მორბოდი, არ იცოდი, რომ აქ ბორკილები დაგხვდებოდაო... მელიტონმა ცოცხალი გამომეტყველებით და სასოებით მიუგო: „სამშობლო ტკბილია, და მისთვის ბორკილების ტარებაც სანეტაროო".

მალე ქუთაისის ციხეში გადიყვანეს, „ზუგდიდის რესპუბლიკაში" მონაწილეობა დაუმტკიცეს, კატორღა მიუსაჯეს, გაგზავნეს და ახლა, როგორც ვუწყით, სამუდამოდ დაეკარგა ჩვენს ქვეყანას, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზდა, მხნე, სამშობლო ქვეყნისადმი ღრმა სიყვარულით გამსჭვალული, პატიოსანი, უანგარო და ერთგული მუშაკი...

მელიტონის ნაწერები, უმეტესად ლექსები, ორიგინალური და ნათარგმნი, ჟურნალგაზეთებშია გაბნეული...

დაუვიწყარი იქნება ხსოვნა მელიტონისა მის მეგობართა შორის!.. სამშობლო მადლობით მოიხსენიებს მას, ვინც მშობელ ქვეყანას მადლიანად ემსახურებოდა.

ი—ი

## სამშობლო სტირის...

(მ. გობეჩიას ხსოვნას)

კოლხიდის დედა დალალებს იწეწს,
კოლხეთში ისმის გოდება ნელი,
ცაც მობინდულა, ღამის დანთხიოს
ბოლმა-ვარამი უკანასკნელი!..
... და კვლავ განისმის გლოვა-ტირილი,
შავ ნისლ-ბურუსსა მოუცავს მთანი;
სისინებს ქარი და გულსაკლავად
სიკვდილის ჰანგებს ჰყივის ყორანი!
სამშობლო სტირის, სამშობლო ცრემლობს,
რადგან ჩაექრა წიაღში ბინდი.
სამშობლო სტირის... და შენც, ფანდურო,
გლოვის ჰანგებზე ამოქვითინდი!..

**გ. ლეონიძე**

## ჩვენი დრამატურგნი





**ნინო ნაკაშიძე** **ს. ჭანტურიშვილი**

ქართულ სცენის მოღვაწეთა ყრილობის გამო.

## გ. მუმლაძის მიერ ოზურგეთის ახალ თეატრის გახსნაზე წარმოთქმული სიტყვა 1 თიბათვეს

—

ბატონებო! დღევანდელი დღე ოზურგეთისათვის ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს: ოზურგეთში დღეს ჩაეყარა საფუძველი მუდმივ სცენას. დღეიდან აღარ გამოივლის ტანჯვა-წამებას ადგილობრივი სცენის მოყვარე, პროფესიონალური მსახიობი წარმოდგენის დროს, რასაც ხშირად განიცდის კაცი სათეატრო დარბაზს მოკლებულ პროვინციაში. დღეიდან შედარებით აღარც თვით ხელოვნება იქნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეურაცხყოფილი. დიაღ, სხვა სახელს ვერ გამოვუძებნი ისეთ წარმოდგენას, როდესაც დეკორაციების ნაცვლად ხალიჩით და ფარდაგებით აჭრელებულ კედლებ შორის უხდებოდათ თამაში და მაყურებელს უნდა ეგულისხმა, რომ მოქმედება ოთახში სწარმოებსო. იძულებული იყო მოთამაშე, ასჯერ გაეზომა და ისე გადაედგა ნაბიჯი, რომ მაყურებლებში არ გადავარდნილიყო სცენიდან. კულისებში ისეთი სივიწროვე იყო, რომ ყოველ გამოსვლაზე ამხანაგს უნდა შეკითხებოდა მოთამაშე, ნახე, ზურგი გასვრილი არ მქონდეს კედელზე გლასუნით და „სცენაზე“ არ შევრცხვეო. რა გაჭივრებასა და უხერხულობას განიცდიდენ მაყურებელნი, ეს კარკათ იცის თითოეულმა თქვენგანმა.

დღეიდან კი ყველა ამგვარი დაბრკოლებანი თავიდან აცილებულია ოზურგეთში ბ.ბ. გოგიტიძისა, ჩიჩუასა და აბაშიძის ინიციატივისა და ენერგიის წყალობით, რისთვისაც მადლობა უნდა გადვუხადოთ მათ.

მით უფრო მადლობის ღირსნი არიან ეს ბატონები, რომ დღევანდელ პირობებში მხოლოდ და მხოლოდ თეატრიღა დაგვრჩენია ქართველებს, სადაც თავისუფლათ გაისმის სამშობლო ენა; სხვაგან ყველგან პირზე კლიტე გვადევს, ან ჩვენდა სამარცხვინოთ, ჩვენ თვითონ წყალს ვიგუბებთ პირში, თითქო ქართულათ ლაპარაკის უნარს მოკლებული ვიყოთ და უცხო სიტყვათა ჩართვით ვაჭრელებთ და „ვალამაზებთ“ სამშობლო ენას. ეს ერთად ერთი დაწესებულებაა, სადაც ეროვნული სული ტრიალებს და მაყურებელიც ნათლადა გრძნობს საკუთარ იარას და ტკივილებს. მაშასადამე, რაღა დაგვრჩენია თეატრის მეტი?! იგი ერთგულ დარაჯად უნდა უდგეს ეროვნული თვითცნობიერების გაღვიძებას, ადამიანურ გრძნობათ და აზრებს უნდა აფხიზლებდეს კაცში.

ჯერ კიდევ ოცდაოთხი წლის წინეთ აი რას სწერდა ქართული თეატრის ერთი მიმომხილველი: „რა დარჩენია ქართველს და რას უნდა მოეჭიდოს იგი თავის ცხოვრების გამომხატველ და გარეგან ნიშანთა შორის..... ამგვარ ადგილად უნდა იყოს, ჩვენის ფიქრით, ქართული თეატრი. ქართული თეატრი უნდა იყოს სადგური ქართული სულისა, ეს ის ადგილი უნდა იყოს, საცა ქართველს შეეძლოს შეისვენოს, დასტკბეს მშობლიური სიტყვით, მშობლიური გრძნობით. ამ ადგილს უნდა იყოს მოგროვილი ყოველივე, რაც მის სახეს, მის ხატებას, მის ეროვნებას, მის ქართველობას შეადგენს... ამისათვისაც უნდა მიდიოდეს ხალხი თეატრში, რომ იქ იცინოს და იტიროს, მოილხინოს, მოიწყინოს, განიმსჭვალოს მოძმესადმი სიბრალულით და ათრთოლდეს მამულის სიყვარულით“ („ივერია“ № 2, 1890 წ.)

ვუსურვოთ, რომ არც ოზურგეთის ახალი თეატრი ასცდენოდეს თავის ნამდვილ მიზანსა და დანიშნულებას და ღირსეულად ეტარებინოს უკვე გამოღვიძებული ერის რწმენა და იდეალი.

## იმერული სცენა

—

ისედაც ყურს აკლდა ჩვენს სისონას და როდესაც სოფლის „პოპოშნიკი“ დაინახა თავის ეზოსკენ მომავალი, სულ მოიყრუა თავი...

„პოპოშნიკი“ ეზოში შემოვიდა, შესა-

## დაბა-სოფლის სასცენო მოღვაწენი



ქართლის წარმომად-გენელი „სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე“. დამსახურებული სცენის მოყვარეა. 20 წელიწადზე მეტია ქართულ სცენას ემსახურება, სწერს ქართლიდან რეცენზიებს და ჩვენს დროგამოშვებით გამოცემებში თანამშრომლობს

**ნიკო ივანეს ძე სიხარულიძე**

---

სვენებლად ცოტა ხანს მუხის ძირში ჩამოჯდა, ჩიბუხი გაიწყო და სანამ სისონას მამასახლისის ბრძანებას გადასცემდა ეგზეკუციის და გადასახადების შესახებ, უბრალო საუბარი დაუწყო:

**პოპ.** ბიჭა, სისონა, რა უქნია ვინცხას იმ შენ ტყეში. სულ ოუჩეხია ახალი შენი მუხები...

**სის.** ბუზები, ამბა, ნამეტანი ბევრია აღარ მაძინებენ.

**პოპ.** შე კაცო, ბუზები კი არა, შენ ტყეში მუხები მოუჭრიათ.

**სის.** ჰო; მოუჭირა ამბა, სიცხემ მოუჭირა და იმიტომ იკბინებიან.

ჰოპოშნიკმა თავი გაანება და სხვაზე დაუწყო ლაპარაკი.

**პოპ.** მეიტანე სისონა ვენახის სანერგე?

**სის.** ამბა! სანაგვეზე უფრო ბარტყობენ!

**პოპ.** სანაგვეზე კი არა, ვენახზე გეუბნები, სისონა, ვენახზე!

**სის.** ვერ ვნახეო! ქე სად ნახავ, ჯერ მიწაშია და რო გეიზდება, მერე ამოძვრება.

**პოპ.** აი გამოგაყრუა ჩემმა გამჩენმა.

**სის.** გამოყვება, ამბა, ფთებიც გამოყვება.

ჰოპოშნიკი წამოდგა და ხმა მაღლა გამოუცხადა:

**პოპ.** სისონა, ხვალ ყრილობაა ეკლესიაზე მაცხოვრის ეკლ.....

**სის.** იმე, მაციებს აბა. რჯულაბი დავლიე და ვერც იმან მიშველა!

**პოპ.** აი, რჯულიც ამოგივარდა და ჯილაგიც!..

უთხრა და გაშორდა ჰოპოშნიკი.

**პლ. კორიშელი**

## გამომტაცეს, გამიფრინეს!..

**(ვუძღვნი სა-მეს)**

ალტაცებით შემიყვარდა ერთი ვარდი,
შავ-წითელა, მარგალიტი, ტკბილ-ნაზარდი,
მაგრამ ერთმა უცხო ხელმა გამომტაცა,
გამიფრინა და ბედკრული გლახ გავმწარდი!..

გამომტაცა, გამიფრინა ჩემი ვარდი,
ვ რდი ჩემი სიცოცხლისა მეგობარი,
ვაჰმე რა ვქნა, რა ვუშველო, სით ვძებნო,
ჩემი ვარდი შავ-წითელა სად ვპოვნო?..

ბევრი ვძებნე, ბევრი!.. და ვის არა ვკითხე:
— შავ-წითელა, ვარდი ხომ არ ნახე?
მაგრამ ვარდო, მარგალიტო, შენი სახე
არ უნახავთ არ!.. და ველარცა მე გნახე!..

ალტაცებით შემიყვარდი, ჩემო ვარდო,
შავ-წითელავ, მარგალიტო ტკბილ ნაზარდო
მაგრამ ერთმა უცხო ხელმა გაგაფრინა
და მით გულში შხამ-ნაღველი გამიჩინა!..

**ია**

## მუსიკა და ქართველი მუსიკოსნი

(დასასრული იხ. „თ. და ც“ № 12 და 14)

ქართულ მუსიკაში თვალსაჩინო მოღვაწე იყო აგრეთვე განსვენებული ბენაშვილი; მან გარდააკეთა სამხმიანი ქართული გალობა ოთხ ხმაზედ; დასწერა მრავალი ქართული ხალხური სიმღერა.

უფრო მხნედ და თვალსაჩინოდ მუშაობს ახალი თაობა. ეს მოვლენა იმედს უსახავს მუსიკის მომავალზედ იმათ, ვისაც ერთი ფეხი სამარეში უდგიათ. ამ თვალსაჩინო მომუშავეთა შორის უნდა ჩაითვალნენ დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, კ. ფოცხვერაშვილი, ა. ყარაშვილი და სხვანი.



**კ. ფოცხვერაშვილი**

კ. ფოცხვერაშვილზე ლაპარაკი მეტია; მისი კონცერტები ყველას მოუსმენია და ქართველი საზოგადოება მას კარგათ იცნობს. მეტმისი მისი დიდია, მთელი რუსის განათლებულ საზოგადოებას მოუსმენია ქართული სიმღერა. ამ მხრივ ფოცხვერაშვილი დიდს სამსახურს უწევს. აქვს დაწერილი მრავალი ხალხური სიმღერა ორკესტრისათვის, სიმ-

ფონიური პოემები; სწერს ქართულ ოპერასაც „კერპების დამხობა“.



ზ. ფალიაშვილი

ზ. ფალიაშვილმა სამუსიკო განათლება რუსეთში მიიღო. ჯერეთ ემაწვილი კაცია, იგი დიდს მომავალს გვიქადის, ეხლაც თავგანწირვით მუშაობს. ფილარმონიულ საზოგადოების დაარსებიდან იგი ამ საზოგადოებას სათავეში უდგია; შემოიარა კახეთი და დასწერა მრავალი ხალხური სიმღერა; მანვე დასწერა ქართული რომანსები, სიმღერების კრებული, გადიღო ოთხ ხმაზედ ქართ. წირვის საგალობლები, დასწერა ქართული ოპერა, ,,აბესალომ და ეთერი'', რომელიც ჩვენ საზოგადოებას უკვე მოუსმენია.

არა ნაკლებ თვალსაჩინოდ მოღვაწეობს ქართ. მუსიკოსი ბ. დ. არაყიშვილი. სამუსიკო განათლება რუსეთში მიიღო, იგი ითვლება მოსკოვის ეთნოგრაფიულ საზოგადოების ნამდვილ წევრად; ამ საზოგადოების დავალებით მან რამდენჯერმე შემოიარა საქართველო და ჩასწერა აუარებელი ქართული სიმღერები.



დ. არაყიშვილი

გამოცემულია ამავე საზოგადოების ხარჯით მისი ფრიად საინტერესო მოხსენებანი ქართულ მუსიკაზე. მანვე დასწერა ქართული რომანსები, შეადგინა საემაწვილო სიმღერების კრებული სახალხო სკოლებისათვის. დასწერა აგრეთვე ქართული ოპერა ,,რუსთაველი'', რომლის მოსმენასაც ქართველი საზოგადოება მოუთმენლად მოელის.



ა. ყარაშვილი

ქართულ მუსიკის წინაშე სათვალჩინო ამაგი მიუძღვის ა. ყარაშვილსაც. სამუსიკო განვითარება რუსეთში მიიღო, აქვს დაწერილი ფორტეპიანოსათვის ქართული ჰანგები, რომანსები და სხვა. მასვე ეკუთვნის ცნობილი სიმღერა ,,სამშობლო''.

ქართულ მუსიკის ასპარეზზე მომუშავეთა შორის საპატიო ადგილს დაიჭერდა გ. ნატრაძე, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა იგი უდროვოთ გამოასალმა წუთისოფელს. სამუსიკო განათლება განსვენებულმა რუსეთში მიიღო; ერთ ხანად იგი წევრი იყო ქართ. ფილარმონიულ საზოგ. გამგეობისა.



მ. კავსაძე



გ. ნატრაძე



ი ჯაბადარი

ქართულ მუსიკის ასპარეზზე მუშაობენ აგრეთვე სულხანიშვილი, ირ. ჯაბადარი, მ. კავსაძე, ალ. კავსაძე, ძმ. შარაბიძენი.

საეკლესიო გალობის დარგში თვალსაჩინო მოღვაწეებად უნდა ჩაითვალნენ ძმ. ვას. და პოლ. კარბელაშვილები, მღვდ. რაჟ ხუნდაძე.

მღვ. ვ. კარბელაშვილის მიერ დადაღებულის ნოტებზე ,,მწუხრისა'' და ,,ცისკრის'' საგალობლები.

მღვდ. პ. კარბელაშვილს აქვს დაწერილი მოკლე მიმოხილვა საეკლესიო გალობისა.

მღვდ. რ. ხუნდაძეს აქვს გადაღებული წირვის წესი იმერული კილოთი.

ყოველგვარი ხელოვნება ერთ-ერთი ღერძია პროგრესსისა, ერთ-ერთი ღონისძიება სოციალურის ურთიერთობისა; ხოლო მუსიკას, რომლის მოქმედების სფერაც კი უახლოვდება სულის ძვრათა სამფლობელოს, ესე იგი, იმ სამფლობელოს, სადაც ჩნდება და იასახება სიმპატია და ანტიპატია, უფრო მეტი და განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კაცთა საზოგადოების სხვადასხვა გვარ და ტომობრივ განსხვავებულ ერთმანეთობისა და კავშირის დამყარებაში, თანაგრძნობისა და სიყვარულის განმტკიცებაში. აუარებელი ღონისძიება აქვს მუსიკას ხელთ ზედმოქმედებისათვის, ძლიერად და ფართოდ ხვევს ეს ზედმოქმედება ადამიანის სულის თითოეულ კერძოობას; შეიძლება გენახოთ კიდეც მუსიკით აღტაცებულნი, აღძრულნი, ღრმად გრძნობათა შეპყრობილნი. მაშ იმედი ვიქონიოთ, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ქართველი მუსიკოსნი მოუპოვებენ ამ ხელოვნებას ჩვენ სამშობლოშიც მოქალაქობრივობასა და მათის მეცადინეობით იგი შემოვა ცხოვრებაში არა როგორც ხელოვნება რჩეულთათვის, არა როგორც ღონისძიება გართობისა და ქეიფისა, არამედ როგორც ფრიად საყურადღებო ელემენტი აღზრდისა და სოციალურის ურთიერთობისა, ქართველი ხალხის სულიერად გარდაქმნისა და გადახალისებისა.

ი. მარალიძე

## სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის პრეზიდიუმი



საპატიო თავმჯდომ.
აკაკი წერეთელი



კრების თავმჯდომარე
გ. მ. ლასხიშვილი

### თავმჯდომარის ამხანაგები



კიტა აბაშიძე



ვლ. ალექ.-მესხიშვილი



ი. ბარათაშვილი



ა. მ. კრინიცკი

### მ დ ი ვ ა ნ თ ა   კ ო ლ ე გ ი ა



კ. ანდრონიკაშვილი



შ. დადიანი



იოს. იმედაშვილი



ს. რომანიშვილი



ირეთელი



ს ჭანტურიშვილი

# აპრილი და მაისი

(ფაცას ალბომისთვის)

I

ჰო! აპრილში: მზის ყაითნით დაიბლანდა მიწამ კაბა
და მაისში: აგვირისტდა— ყაყაჩო და გულისაბა...

2

კოხტა გოგოვ! სულ პირველად მეც აპრილში გაგეცანი
და მაისში უკვე... გიძღვენ ალერსი და კაეშანი...

ი. გრიშაშვილი

# „იასონის ოინები“

ვოდევილი ორ სურათად

(დასაწყისი იხ. „თ. და ც.“ № 13—14)

**ივანე**. ეს ღმერთმა მიდღენძელოს ჩემი ქალბატონი მარგალიტა. იმისი წყალობა ნუ მოუშალოს ქრისტე მაცხოვარმა ჩემს საწყალ თავს.

**მაქ**. (თეიმურაზს) ღმერთმა აცოცხლოს თქვენი მეუღლე. (თეიმურაზი თავს უკრავს და ღვინოს ჩქარად სვამს. მაქსიმე ცალიერ ბოთლებს აიღებს და გადის)

**ივანე**. სწორეთ კაი მეუღლე გყავს, ბატონო, რო მთელ კანკასიაში იმისთანა ქალი არ მეგულება, თქვენმა სიცოცხლემ (რამოდენიმე ხანს სიჩუმეა. შემოვა მაქსიმე ღვინით და წვადით) რომ განახვა, ჩემო მაქსიმე, ამათი მეუღლე, სწორეთ რომ მთელ კანკასიაში იმასთან ქალი აღარ მოგეწონება, შენმა სიცოცხლემ.

**თეიმ**. კაი რამე ქალია ჩემი, ჩემი მარგალიტა, ჰა ივანე!

**ივანე**. იიმე, ბატონო! (ღვინით სავსე ჭიქას აიღებს) ეს ღმერთმა მიცოცხლოს და მიდღინძელოს ჩემი პატარა ბატონიშვილი ტარიელი. ძველათ რო ტარიელი ყოფილა, იმას გამოამგვანოს მაცხოვარმა ვაჟკაცობით და ახლავე ეტყობა, რომ სწორეთ კაი რამე ვაჟკაცი უნდა გამოვიდეს.

**მაქ**. ღმერთმა აცოცხლოს თქვენი შვილი; იმის ბედნიერებას შევასწროთ.

**თეიმ**. იიმე... იიმე... ჩემო, ჩემო სვიმონ!

**ივანე**. (უსწორებს) მაქსიმეა, ბატონო, მაქსიმე.

**თეიმ**. ჰო, ჩემო მაქსიმე! ძ ლუანია ჩემი ტარიელი. პირწავარდნილი მამაჩემია და ჩემმა მტრებმა-კი ხმა დამირხიეს: სხვისიაო, ჰა, სხვისიო. ის გაიძვერები, ის გაი...იძვერები!.. მე უკვეთ არ ვიცი, ჩემია თუ სხვისი? ჩემ მარგალიტას ბუ...ბუზს არ ვაკარებ და სხვა, სხვა კაცი რავა მიმეპარებოდა ზედ ჰა, ივანე?

**ივანე**. რავა გეკადრება, ბატონო, რავა გეკადრება! (ხელებს და თავს აქნევს, ღვინოს ხშირათ სვამს და ძალზე იღუშება)

**მაქ**. ერთი კომენდია ვნახე თიატში ამას წინეთ და სწორეთ იქ იყო მაგნაირი ამბავი.

**თეიმ**. (დაინტერესებული) ჰა, ჩემო, ჩემო სვიმონ!

**ივანე**. (უსწორებს) მაქსიმე, ბატონო, მაქსიმე.

**თეიმ**. ჰო, ჩემო, ჩემო მაქსიმე, რა ნახე რა თრიატში?

**მაქ**. თიატში წარმოადგინეს ბატონო, კომენდია „ბებერი ქმარი“, ვითომ ერთმა მოხუცებულმა კაცმა ყმაწვილი ქალი შეირთო, ვაჟი შეეძინა და მერე ნათლობაში გამოჟღავნდა რო ვაჟი თურმე სხვისა იყო და ერთი სპორი და სკანდალი ატყდა. სწორეთ ძალიან საცინელი ამბავი იყო, რომ მეტი აღარ შეიძლება.

**თეიმ**. იიმე, იიმე, ივანე! ეს, ეს სწორეთ ჩემი სიძის იასონის ოინებია, იასონის ოინები! უნდა, უნდა უსათუოთ მანახო ის თრიატი ჩემო, ჩემო სვიმონ!

**ივანე**. (უსწორებს) მაქსიმეა, ბატონო, მაქსიმე! (თავისთვის) გამოგაჩერჩეტა ჩემმა გამჩენმა, რითი ვერ დეიმახსოვრე ამ ოხრის სახელი ამდენ ხანს! (მაქსიმეს) შე მამაცხონებულის შვილო, რაზე ატეხე, აღარაფერს აღარ შეგვარგებს აწი, სანამ, ის რაღაც ოხერი თრიატრია, არ აჩვენებ.

**თეიმ**. სწორეთ უნდა, უნდა მაჩვენო, ჩემო, ჩემო სვიმონ!

**ივანე**. (ჭირჯვარს იწერს) იიმე, მაქსიმე, ბატონო, მაქსიმე. (თავისთვის) ბებერი ინდაური დეიმახსოვრებდა ამდენხანს ერთი კაცის სახელს და ამას რა ღმერთი უწყრება?

**თეიმ**. ჰო, ჩემო, ჩემო მაქსიმე, უნდა, მაჩვენო უსათუოთ!

**მაქ**. კი ბატონო, ნავხამ გაზეთში, როდის არდგენენ კიდე და... (ადგება, წასვლას აპირებს)

**ივანე**. (ხელს მოკიდებს და სვამს) ჯერ სადილი გავათაოთ, შე კაცო და მაგას მერეც მოვესწრებით. შენი სადღინძილო იყოს, ჩემო მაქსიმე! მაგიერი პატივისცემა ჩვენც გადაგვახდევინოს ღმერთმა.

**თეიმ**. ღმერთმა, ღმერთმა გადღინძელოს, ჩემო, ჩემო... სვიმონ.

**ივანე**. (თავისთვის) იიმე, გაგასივა ღმერთმა და ჩემმა გამჩენმა. (თეიმურაზს) მაქსიმეა, ბატონო, მაქსიმე.

**თეიმ**. ჰო, ჩემო მაქსიმე! მარა უნდა მაჩვენო უსა...უსათუოთ ის თრიატრი. (მაქსიმე თავს უკრავს ორივეს)

**ივანე**. ერთი ეს მითხარი, ჩემო მაქსიმე, ამდენი ხალხი რო მოდის და მოდის ქალაქში, სტუმრათ მიდიან სადმე, თუ სტუმრობიდან მოდიან?

**მაქ**. ქალაქში, შე კაცო, დიდძალი ხალხია და ყველა თავთავის საქმეზე მიდის.

**ივანე**. კაი დაგემართოს! არ გამიკვირდა! ვიფიქრე, თუ სტუმრათ მიდის ამდენი ხალხი, ვინ უნდა გაადლოს ეს ჯარი მეთქი. მარტო საინი და სკამი თქვი შენ! სწორეთ კაი რამეა ქალაქი, მარა ე ფაიტონები რო გარბიან და გამორბიან, ყველაზე უფრო საკვირველი ეს არის, თქვენმა სიცოცხლემ. (ქუდს აიღებს) ეე, ყოვლაწმინდა შეგვეწიოს ყველას ერთობით.

**მაქ**. აღარაფერს მიირთმევთ?

**თეიმ**. აჰ, კმარა, ჩემო, ჩემო სვიმონ!

**ივანე**. მაქსიმეა, ბატონო, მაქსიმე.

**თეიმ**. ჰო, ჩემო, ჩემო მაქსიმე, სწორეთ კაი მასპინძელი იყავი და, თუ მეწვევი ჩემს სა...სასახლეში, იმისთანა ხბოს კი წამოვაქცევ, რო კა...კამბეჩს ყლაპამდეს, (ადგება და ლოგინზე წამოწვება. მაქსიმე ალაგებს და გადის)

**ივანე**. სწორეთ ძალიან მასპინძელი იყო ჩვენი მაქსიმე და კარგათაც დავლიეთ, შენმა სიცოცხლემ. (ქმარს მოიშვებს)

**თეიმ**. თუ მეწვია, მე ვიცი და მაგის, მაგის პატივისცემამ. იმხელა ხბოს წამოკაგორებ, რომ კამბეჩს ყლაპამდეს, ჰა, ივანე! (შემოვა მაქსიმე და ორი გაზეთი შემოაქვს)

**მაქ** სწორეთ ზედ ყოფილა, ბატონო, თიატში ის კომენდია, მე რომ მოგახსენეთ, აგერ არი გამოცხადებული. (გაზეთზე უჩვენებს)

**თეიმ**. იიმე, იიმე... უსათუოთ უნდა წამიყვანო, ჩემო, ჩემო სვიი...

**ივანე**. (მიაძახებს) მაქსიმეა.

**თეიმ**. ჩემო მაქსიმე! უსათუოთ უნდა წაგვიყვანო.

**მაქ**. ადვილი საქმეა, ბატონო!

**თეიმ**. ივანე! აბა გაზეთი წამიკითხე და პატარას თვალს წავატყუებ. (მაქსიმე მოშორებით დაჯდება და გაზეთს კითხულობს; მეორე გაზეთს ივანე აიღებს, დაჯდება და კითხულობს)

**ივანე**. (კითხვა უძნელდება და აწვალებს) სა...ხალ...ხო გა...ზე..თი, სახალხო გაზეთი.

**თეიმ**. იიმე, იიმე... ჩემო, ჩემო სვიმონ!

**ივანე**. გააწყვეტინებს) შე დალოცვილო, რას ჩააცივდი ამ სვიმონს? რითი ვერ დეიმახსოვრე აქამდინ, რო ამ პატიოსან კაცს მაქსიმე ქვია?

**თეიმ**. ჰო, ჩემო მაქსიმე, სწორეთ არ მოველოდი შენგან!.

**მაქ**. (გაოცებული) რას, ბატონო?

**თეიმ**. მთელი ქუთეისის გუბერნიაში პირველ აზნაურშვილსა და დიდებულ მამულისშვილს მიძახიან და სახალხო გაზეთი რო მომიტანე, რავა, ყაძახის შვილი-კი არა ვარ.

**მაქ**. სახელი ქვია ამისთანა, ბატონო, თვარა ყველა ამ გაზეთს კითხულობს.

**თეიმ**. იიმე, იიმე, რავა გეკადრება! ტრაპიზონში არ ვყოფილვარ მართალია, თვარა სახალხოსი და საზნაუროს გარჩევა კი ვიცი.

**მაქ**. ა ბატონო მეორე გაზეთი. (ივანეს მეორე გაზეთს აძლევს)

**ივანე** (კითხულობს) ა...ხა...ლი გა...ზე...თი წე...ლი..წა...დი პირ...ველი. (პაუზა) მერე ციფირებია, ბატონო... (განაგრძობს) და მა...ისი (ის თვე უნდა წაიკითხოს, რა თვეშიც წარმოდგენაა) სა...პო...ლი...ნტი...კო, საპოლინტიკო.

**თეიმ**. იიმე, იმე, ჩემო, ჩემო სვიმონ.

**ივანე**. მაქსიმეა, ბატონო, მაქსიმე.

**თეიმ**. პოლიტინკაც ღმე...ღმერთმა დასწყევლოს და იმისი მამგონიც. (ივანეს გაზეთს გამოგლეჯავს ხელიდან და გადააგდებს. მაქსიმეს) შენ მარტო ის წამიკითხე, რაღაც რო გინახავს თრიატში.

**მაქ**. (კითხულობს) ქართული თეატრი (უნდა თქვას ის დღე და რიცხვი, რა დღესაც წარმოდგენაა) წარმოდგენილი იქნება ქართული დასის მიერ „ბებერი ქმარი" დრამა...

**თეიმ**. და **ივანე**. (გააწყვეტინებენ და ერთად) ბებერი ქმარიო?!

**თეიმ**. იიმე, იიმე, ივანე! აკი გითხარი, რო ეს ამბავი ჩემზე, ჩემზე იქნება მეთქი. იქ რო ველარაფერს გახდა ჩემი სი...ძე, ახლა ქა... ქალაქში უნდა მამჭრას თავი, ქალაქში. (წამოდგება და წინდების ამარა დადის ოთახში) იიმე, იიმე!

**ივანე**. ველარაფერს ველარ მოგახსენებთ, თქვენმა სიცოცხლემ, ახლა მეც კი შევდივარ ეჭვში. (სიჩუმე. თეიმურაზი დაწვება, კედლისაკენ გადაბრუნდება და ბურდღუნებს)

**თეიმ**. იიმე, იიმე, მაცადოს, მაცადოს იმ, იმ იასონმა. იიმე. იიმე, ამისთანა საქმე იქნება? რატომ მე არ დამრჩა მისი საცხოვრებელიო. იიმე, იიმე. (იძინებს)

**მაქ**. ამას რაზე მოდის გული, მაგაზე ხო არ დაუწერიათ-რა?

**ივანე**. იიმე, შე დალოცვილის შვილო! რავა გეკადრება? ორი ცოლი გამეიცვალა და შვილი არც ერთის ხელში არ მიეცა. ერთი სიძე ყამს იასონი, დის ქმარი, და სიხარულით ცას სწვდებოდა, თეიმურაზის საცხოვრებელი მე დამრჩებაო, მარა ამ სამი წლის წინეთ მეიყვანა ქორფა გოგო, თვრამეტი წლის. მას დღესა აქეთ აღარ მოუსვენეს სიძემ და დამ: ბებერია და რავა შეირთო ბოვშიო. გევიხედეთ და ქე არ დოუსვა ამ ბოვშმა კაი ვაჟიშვილი წლის თავზე, შენ ნუ მამიკვდები! იიმე, ახლა მოდგენ და ხმა დოურხიეს: თეიმურაზის კი არ არის, არჩილ გოგნაძისაო, მოაჭრეს კაცს თავი, ახლა თუ აქაც ეგ ხმა დოუყარეს, საღა უნდა გამოყოს თავი?

ვ. გუნია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## სქესობრივი ცხოვრება და ხელოვნება

(დასაწყისი იხ. „თეატრი და ცხოვრება № 9)

—

მხატვარი თავისთვის მასალას გარეშე ბუნებისაგან, ყველა დროის ცხოვრებიდან და ნამოქმედარიდან იღებს; გონებრივი მიმდინარეობანი, შეხედულებანი და იმ ეპოქის შენაძენნი, რომლებშიაც იგი სცხოვრობს, ყოველთვის პოულობენ მის ნაწარმოებში გამოხმაურებას; მეცნიერული და ტეხნიკური წარმატებანი კიდევ, ცხადია, ხელოვნების გარეგნულ წესებისთვის გამოიყენების. მაგრამ მასალისთვის დამთავრებულ სურათის ფორმის მიცემა, მთლიან, ერთეულ მოქმედებად, ჰარმონიულ გუნებად გარდაქცევა, შემდეგ, მასალიდან შემთხვევითის, გარეშეს ჩამოშორება, გარჩევა არსებითის, აუცილებელის, ტიპიურის სინათლეზე გამოტანა, რის გამოც ცალკე ამბავი, განსაკუთრებული შემთხვევა მხატვრულ ნაწარმოებში საერთო-კაცობრიულისა და საერთოდ საინტერესოს სიმბოლოდ ხდება და რომელსაც ყოველ მგრძნობიარე ადამიანზე გავლენის მოხდენა შეუძლიან, ყველა ეს შემოქმედ მხატვრულ ჰენიის საქმეა, ე. ი. მის გრძნობის პლასტიურ ძალისა.

თავისთავად ჭეშმარიტი ხელოვნება არც ზნეობრივია, არც უზნეო. აქა აქვს ძალა Omnia pura puris-ს (უმწიკლოსივის ყველაფერი უმწიკვლოა). ბილწ სულის სარკეში ხელოვნების ყოველნაირი ნაწარმოები, როგორაც ყველა უმაღლესი ეთიური ნაყოფნი, მახინჯ ანუ პორნოგრაფიულ სახით მოსჩანს, მაშინ როდესაც უმწიკვლო სულნი მათში უმაღლეს იდეალების ხორცშესხმულობას ჰხედავენ. ამაში ხელოვნება და მისი ნაწარმოებნი კი არ არიან დამნაშავენი, არამედ ცალკე ადამიანების თვისებანი და შემეცნებათა განსაკუთრებანი; ამიტომ ხელოვნების უმშვენიერეს ნაწარმოებს ბილწ ეროტიულ ბუნებაში შეუძლიან დაბალი სქესობრივი გრძნობანი აღძრას მაშინ, როდესაც საუკეთესო ადამიანები სრულიად წინააღმდეგ შთაბეჭდილებათ მიიღებენ მისგან.

მაგრამ დავადგინეთ რა ეს ძირითადი ფაქტები, მოვალენი ვართ სხვა, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებონიც მოვიხსენიოთ. ხელოვნების ბაირახის ქვეშ ადამიანთა აუარებელი ნაწარმოებნი ვრცელდებიან, რომლებიც ძაან ნაკლებად დაიმსახურებენ ამისთანა სახელწოდებას. ნამდვილი მაღალსულვანნი მხატვარნი ცოტანი არიან, სამაგიეროდ მთხუპნელნი ათასობით მოიპოვებიან. ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ბევრნი, რომელთათვის მუზას თავის დღეში არ უკოცნია, რომელნიც ხელოვნების უმაღლეს ღირსებას და სერიოზნობას ვერ გრძნობენ და არ ესმით, რომელშიაც სულ ბევრი-ბევრი საწველ ფურსა ჰხედავენ, ხელოვნებით კი არ მეცადინეობენ, რომელიც მათ არ ეხერხებათ, არამედ ყოველგვარ უმნიშნველ ,,ხელობით''; ამასთან, სამსახურში წარმატების და ფულების მოპოვების ძებნაში, უკეთეს, უკეთილშობილეს გრძნობებს კი არ მიჰმართავენ, არამედ ბრბოს დაბალ ალღოებს (ინსტიქტებს).

ეროტიკა სწორედ ამ სფეროში თამაშობს დიდს და სავალალო როლს. არ არსებობს დაბალ გრძნობათა მაღიტინებელი საშუალება, რაც გინდ ბილწი იყოს იგი, რომელიც ხალხის მიზიდვის მიზნით აქ გამოყენებულ არ იყოს. უწმაწური სიმღერები, ორაზროვანი რომანები, გარყვნილი წარმოდგენები,

შეუწყნარებელი ცეკვები, უზრდელი ნახატები etc., — ყველა ეს ხელოვნურ ნაწარმოების ნიშანწყლის უქონელნი, — ჭარი-ჭარა ინიკებიან და ბრბოს ეროტიულ ალღოს მიჰმართავენ, რათა იმის ჯიბიდან ფული ამოიტაცონ. ყველა ამას გაფხორილ სახელწოდებით „ხელოვნებად" ჰნათლავენ. ასეთი ხელოვნებანი უუსაძაგლეს ბიწიერებას ადიდებენ და მის ავადმყოფურ სიმახინჯეთაც კი სახალხოდ გამოჰფენენ. ყველაზე სავალალო ამაში ის არის, რომ ამ ბილწ „ხელოვნების" ტლანქი გემო ხალხის გემოვნებას აფუჭებს, ჰკლავს რა მასში ჭეშმარიტების უმაღლეს ხელოვნების შემთვისებლობას (ВОСПРІИМЧИВОСТЬ). მეფიქრება მონომანობა (ერთს აზრზე შეშლა) არ დავიმსახურო, მაგრამ მოვალე ვარ ერთხელ კიდევ გავიმეორო და ხაზი გაუსვა აქ, რომ ზედმიწევნილ გამოკვლევით ხელოვნების და ხელოვნების ნაწარმოებთა შემთვისებლობის გადაგვარების მასაზრდოებელ ნიადაგად ყოველთვის ფულით გაფუჭებულება და ლოთური თავაშვებულება აღმოჩნდება ხოლმე. მე განძრახ ვამობ „ხელოვნების და ხელოვნების ნაწარმოებთა შემთვისებლობა", რადგანაც საკმარისი არ არის მხატვრებმა შეჰქმნან, — იმათ ხალხში, საზოგადოებაში უნდა მოჰკრან ყური გამოძახილს, ე. ი. მათგან გაგებულნი უნდა იყვნენ. ერთიც და მეორეც, როგორც მოთხოვნილება და დაკმაყოფილება ხელიხელ ჩაკიდებულნი მიდიან. სადაც ხელოვნებისადმი ხალხის შემეცნების ნიჭი ძირს იწევს, იქ ხელოვნების ნაწარმოებთა ღირსებაც ფოლდება და წინაუკმო. პატივცემული, დიუსელდორფის მხატვრულ-ხელოსნურ სკოლის დირექტორი, პროფ. ბერენსი, ბეჭდვითი სიტყვით სავსებით დამეთანხმა ხელოვნებაზე ლოთობის (ალკოგოლის) დამღუპველ გავლენის შესახებ*). დავადგინეთ რა ეს ეს ფაქტი, ჩვენ ახლა უმთავრესზე და ამასთანავე საჩოთირო საკითხზე უნდა გადავიდეთ: როგორ გავარჩიოთ ჭეშმარიტი ეროტიული ხელოვნება პორნოგრაფიულ თხუპნისაგან? მაშინ, როდესაც ზოგიერთი ფანატიკოსი ასკეტიურ მწყივანა ზნეობის მასწავლებელნი მზათ არიან თავიანთ გადამეტებულის გულმოდგინებით ხელოვნების ყოველგვარი ეროტიული ნაწარმოები დაამსხვრიონ ან დასწვან, როგორც ვითომდა პორნოგრაფიული, გადაგვარების სხვა ჯურის ქურუმნი იჭაჭებიან ხელოვნების ფარით დაჰფარონ და დაიცვან ყოველი, გინდაც სულ მეტად ბილწი, პორნოგრაფიაც-კი. რომელი კრიტიკოსი გადასწყვეტს ამ კამათს?

მე მხოლოდ ორიოდ-სამიოდ მაგალითს მოვიყვან. როცა ტიროლის ერთ მშვიდ და ცრუმორწმუნე ოლქში ტიტველა, თუმც სრულიად უმანკო, ბიუსტები და აღალმები დასდგეს, გლეხებმა მაშინვე დაამსხვრიეს ისინი, რადგანაც მათი მორცხვობა მეტად შეურაცხყოფილი აღმოჩნდა, და ტიტველა ადამიანის გამოხატვაში გარყვნილებისადმი უუტლანქეს იძულებას ჰხედამდნენ (იხ. თავი XIII), უსარგებლო იქნებოდა მათვის გეთქვათ: „თქვენ იმ გონიერთა რიცხვს ეკუთვნით, რომელთაც ჰრცხვენიანთ საკუთარ ბუნების, რადგანაც მხოლოდ ზესთაბუნებითით საზრდოობენ". იგივე შეგვეძლო გვეთქვა უკვე მოხსენებულ, ციურიხის პოლიციის უფროსისთვის, რომელმაც თავის დროზე ბეკლინის „ტალღათა თამაშის" ვიტრინიდან აღებით ისახელა თავი, რადგანაც მობანავე ნაიადებში (წყაროების და მდინარეების ღმერთები) მან საფრთხე გამონახა ციურიხის მოქალაქეთა სათნოებისათვის და ზნეობისათვის.

პირიქით, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ პარიზელ მხატვრობისგან და მათ ბუნებითი დედნებისაგან (натурщица) გამართული ტიტველა ან ნახევრად ტიტველათა (bal des duat'z'Arts) საცეკვაო საღამო. რომელზედაც მათი მეგობრებიც მიიწვევიან და რომელიც სქესობრივი ორგიით გათავდება ხოლმე, ხელოვნების დარგს კი არ შეადგენს, არამედ გამრყვნელ სქესობრივ უსირცხვობას (ცინიზმს), რასაც საზღვრები უნდა დაედოს.

ლ. ცაგარელი

*) Peter Beherns. „Alkogol und Kunst;" G Jepsen Neustadt 45, Tlenshurg Sshleswig.

# ქართველ მწერალთა წერილები

## ილია ჭავჭავაძე

„ბ. რედაქტორო, იმედი მაქვს ამ ჩემს წერილს ადგილს დაუთმობთ „ივერიაში".

„სამწუხაროდ და საუბედუროდ ჩვენდა, ჩვენს ისედაც გაწყალებულს ცხოვრებას მოერია ისეთი ღვარძლი, რომელიც დღითი დღე ფესვს იდგამს, შხამავს და ჰპილწავს საზოგადოებას, განა ხალხის სიცოცხლესა. როგორც ყოველი არსების სხეულს, ისრე ადამიანისასაც დასდევს ხორც-მეტი. ხორცმეტი, თუ ნებაზე გაუშვებთ, სწოვს სხეულიდამ სისხლსა, იზრდება. მითი საზდოობს, როგორც წუწკი ქურდი, როგორც მაწანწალა ჯიბგირი სხვისი ჯიბის ამოცარიელებითა. ამ გვარნი ხორცმეტნი ჩვენის საზოგადოებისა არიან ის ვაჟბა-

ტონები, რომლებსაც უღალატნიათ ნამუსისთვის, ჩაუქვრიათ უკანასკნელი ნაპერწკალი სინიდისისა და პირზედ მურამოსმულები დაძვრებიან ხალხში, საზოგადოებაში და პირად ჯავრის ამოსაყრელად კადრულობენ ისეთს საქმეებს, რომელსაც ადამიანის შვილი, ძე-ხორციელი, არ იკადრებს, თუ კი და შერჩენია მას უკანასკნელი სხივი სინიდისისა, თუ კი და შერჩენია მას ხატება ღვთისა. დიაღ, იმ განზრახვით, რომ ჩირქი მოსცხონ, გესლი და შხამი დააწვეთონ ყველასაგან პატივსაცემ, თითქმის სათაყვანებელ პირთა სახელსა. ამ გვარი საზიზღარი ლექსი მოჰფინეს ქუჩა-ქუჩა ხალხში იმისთანა ქალზე, რომელიც ყველა ჩვენთაგანისათვის ღრმად პატივსაცემი იყო და არის, რომელიც შესანიშნავია თვისის მოღვაწეობით, საზოგადო საქმისადმი მხურვალის სიყვარულითა. ამისთანა პატიოსანს ქალზე გაავრცელეს გარყვნილებით, გესლით და ჩირქით აღვსილი ლექსი-პასქვილი, და გაავრცელეს იმისთანა ხალხში, რომელნიც საუკეთესო, გულითადი მეგობარნი არიან იმ ქალისა; გაავრცელეს მოატყუებით და მხოლოდ ბოლოს დაასახელეს ის პირიც, რომელიც ნიშანში ჰყვანდათ ამოღებული. ცოტაა რომ ვუწოდოთ მას ღვარძლი და ხორცმეტი ჩვენის ხალხისა, ჩვენის საზოგადოებისა. ჩვენ ვერ მიგვიგნია ისეთი სახელი, რომელიც თვალსაჩინოდ გამოჰხატავდეს ამ გასალახანავებულის არა-ადამიანის საქციელსა“.

„მე, ამ სტრიქონების დამწერი, განსაკუთრებით ვარ აღელვებული და სისხლ მოწამლული, რადგანაც მეც მომხვდა ნაწყვეტი საზიზღარის პასქვილისა. მეტი იქნება, მაგრამ გარემოება მაიძულებს ვსთქვა: აგერ თორმეტი წელიწადია შეძლებისადაგვარად ვემსახურები ლიტერატურას და ერთხელაც არ შევხებივარ რომელიმე პირსა ბოროტის, წინად განზრახულის აზრითა, რომ ჩირქი წამეცხო მისის სახელისათვის. თუ ვინმე გამიკიცხნია, გამიკიცხნია სამართლიანად, საბუთიანად საზოგადო საქმეების გამო. მაგრამ დღეს კი ჩემი სული მოსწამლა ღვარძლმა, ხორცმეტმა ჩვენის საზოგადოებისამა“.

„აი საქმე რაშია: ამას წინად გავრცელდა ხმა, რომ თბილისში ჩაუტანიათ გორიდამ ლექსი, ქალ-ვაჟზე დაწერილი, რომელიც ასე თუ ისე ჰხატავს გორის საზოგადოების ავ-კარგსაო. მართლაც, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ საზოგადოებაში დადის მშვენიერის კილოთი დაწერილი სატირული ლექსები. ამ გვარი ლექსი იყო „ბროდიალებზე“ *) (მაწანწალებზე), რომელიც ხელისხელ საგოგმანებლად ჰქონდათ ქართლში. მე ვიფიქრე, უთუოდ ეს ახალი ლექსი შესანიშნავი რამე ლექსია და შევეხე ჩემს ფელეტონში „რამე-რუმე“, რომელიც იყო დაბეჭდილი „ივერიის № 92-ში. რაც დღე მიდიოდა, იმდენად უფრო და უფრო გავარდა ხმა, რომ ქალ-ვაჟზე შესანიშნავი ლექსიაო, მაგრამ რა გვარი ლექსი იყო, რა შინაარსისა, რომელს ქალს ან ვაჟს შეეხებოდა, მე არ ვიცოდი. საზოგადოებაში ცნობის მოყვარეობა აღძრეს და როცა ცნობის მოყვარეობა აღძრეს და გაავარცელეს ლექსი პასქვილი, მხოლოდ მაშინ გამოააშკარავეს და დაასახელეს ის პირიც, რომელსაც ვითომ ის ლექსი ეხებოდა და რომელმაც საშინლად აგვაღელვა არა თუ ჩვენ, არამედ ყველანი, ვინც კი იცნობდა იმ პატიოსანს ქალსა“.

„წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როგორც მწერლისა, რა ცეცხლში ვიყავ, როდესაც საქმე გამოაშკარავდა! გამოვიდა, რომ მე შევეხე იმისთანა პირს, იმისთანა ქალსა, რომელიც ძვირფასია ჩვენის საზოგადოებისათვის, რომელთანაც მე აგერ თორმეტი წელიწადია ერთად ვმოღვაწეობ, მასთან ერთათ ვწევ ჯაპანსა! გამოვიდა, რომ მე განზრახ შეცდომაში შევიყვანე თვით რედაქციაცა!.. წარმოსადგენადაც ძნელია ეს ჩემთვის მაგრამ ბოროტი ბოლომდე ბოროტია. თავისი გაიტანა და შეცდომაში შემიყვანა.—ერთის სიტყვით, ვიმეორებ, უკეთუ მცოდნოდა, რომ ეს ლექსი შეეხებოდა არათუ ამ გვარს ყველასათვის პატივსაცემს ქალსა და ოჯახსა, არამედ უბრალო, ჩემს მოსისხლე კაცსაც, მაშინაც კი მე ჩემს თავს ნებას არ მივცემდი, რომ ჩემი კალამი გამესვარნა იმისთანა საზიზღარის ჩირქითა“.

1887 წ. 4 ივლისი ქ. გორი

ან. ფურცელაძემ თვით დაარხია ხმები, ვითომ ის ლექსი შეეხებოდა პატივცემულ მარიამ კერესელიძისას და რად ჰქმნა ეს, ალლახმა უწყის. ეს კია, რომ მას შემდეგ თეთრის კბილით და შავის გულით იყო ჩემთან. ზემოდ მოყვანილი წერილი თვით ანტონს დაუტოვე რედაქციაში გასაგზანად; მე რეპეტიციას მოვრჩი; შინ რომ მივედი, დამხვდა „ივერიის“ ივლისის სამის № 134-ი. შევუდგე მეთაურის კითხვას, რომელშიც საშინლად გაკიცხული იყო ჩემი ფელეტონი. საშინლად გავცეცხლდი, მაშინვე დავსწერე ორი წერილი: ერთი „ივერიის“ რედაქციას და მეორე რედაქციის გამგებლის გიგო ყიფშიძის სახელზე. ინციდენტის ასახსნელად და ანტონის მეჭორეობის გამოსააშკარავებლად საჭიროდ ვრაცხ ყველა წერილები მოვიყვანო.

(შემდეგი იქნება)

## ხონის სათეატრო საქმეები

(წერილი ხონიდან)

ხონში წარმოდგენების სეზონი იწყება ზაფხულობით და გძელდება ორ თვეს. აქ წარმოდგენების საქმე საუკეთესოდ არის დაყენებული, მიუხედა-

*) ამ ლექსში იყო აწერილი გორის მაზრის უფროსის თ. ადიკო ამილახვრის განკარგულებით ჩაყენებული „ზეკუციის“ გამგენი. ავტ.

ვად იმისა, რომ არც დრამატიული საზოგადოება არსებობს და არც თეატრისათვის საკუთარი შენობაა. ყოველ ზაფხულის დასაწყისში შეიკრიბებიან ინტელიგენტი ქალ-ვაჟნი, ირჩევენ ეგრედწოდებულ დრამატიულ ჯგუფის გამგეობას და ეს გამგეობა მართავს წარმოდგენებს სეზონის განმავლობაში. ეს გამგეობა ვალდებულია ერთი წლის შემდეგ საზოგადოებას ანგარიში წარუდგინოს. აღსანიშნავია, რომ გამგეობის წევრები ყოველთვის დიდ ფხიანობას იჩენდენ საუკეთესო მსახიობის მოწვევაში და მორიგ გამგის მოვალეობის ასრულებაში არც შრომას იზარებენ: აქ თეატრი მოკლებულია სცენის მოწყობილებას, დეკორაციებს და პიესაში საჭირო ყოველი ნივთი უნდა მოიტანოს შინიდან. სწორეთ დიდი მადლობის ღირსნი არიან გამგეობის წევრნი, რომ ამ შრომას არ გაურბიან.

გამგეობის ძველ შრომას არ უარვყოფთ, მხოლოდ ახლა კი დიდ მცონარეობას იჩენს. შარშანდელმა გამგეობამ პირველად იმაში გამოიჩინა მცონარეობა, რომ კრების მოწვევა დააგვიანა (24 მაის მოიწვია) და წარსული წლის ანგარიში-კი მაინც ვერ წარუდგინა საზოგადოებას. გამგეობის წევრები 24 მაისის კრებაზეც ძალიან ცუდათ მოიქცენ. უიმედებითა და სასოწარკვეთილებით შეპყრობილნი ლამობდენ, სხვებიც ამავე უიმედობით და სასაწარკვეთილებით შეპყრობილივნენ. მათი ნალაპარაკევიდან აშკარად გამოსჭვიოდა ორი აზრი, რომ წელს სეზონის მოწყობა მოუხერხებელი-შეუძლებელიაო და ახლა არ იკითხავთ, თუ რა ალაპარაკებდათ ასე გამგეობის ძველ წევრებს? შარაშნ გამგეობამ 4 თუმანის დეფიციტი ნახაო. ბავშობაა ამგვარი მსჯელობა, შარშან და შარშანწინ იზარალა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამგეობა წელსაც სეზონს დეფიციტით დაასრულებს. ხონის თეატრი კი არა, ევროპის საუკეთესო თეატრები ხან თუ მოგებას ნახავენ, ხანაც ზარალს. ამგვარი ლოღიკით რომ ემსჯელნათ, დღეს ქვეყანაზე თეატრის ხსენებაც კი არ იქნებოდა.

კრებამ ხანგრძლივ მსჯელობის შემდეგ დაადგინა: იქნეს წელს ხონში სეზონი. აირჩიეს გამგეობა 9 წევრისაგან შემდგარი: ოთხი ქალი და ხუთი ვაჟი. გადაწყდა აგრეთვე დაარსებულ იქნას დრამ. საზოგადოება, რისთვისაც აირჩიეს კომისია. კრებამ თბილისში სცენის მოღვაწეთა ყრილობას მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა. გამოითქვა აზრი, რომ ახლად არჩეულმა გამგეობამ დღესვე აირჩიოს ერთი კაცი და ყრილობაზე გაგზავნოს წარმომადგენლად. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა კოტე მესხისა და დესპინე ივანიძის ხსოვნას.

**თეზეოსი**

## სამტრედიის წარმოდგენები

გასულ წლის შემოდგომას აქ დაარსდა სათეატრო წრე—გ. კობახიძემ შეადგინა სცენის მოყვარეთა ჯგუფი და წარმოდგენების მართვას შეუდგა, მაგრამ მოგეხსენებათ ჩვენებური შენ-ჩემობა: წ. კ. გ. ს-ამ დაარსა თავისათვის მეორე წრე, რომლის თავმჯდომარედ მიიწვიეს გ. გვარამაძე, რეჟისორად კი ალ. ჯაყელი. იმ დღიდანვე ჩაუდგენ ერთი მეორეს ჯიბრში და ერთი წრის წარმოდგენას მეორე წრე არ ესწრებოდა, არ აბეზღებდა კიდეც ხალხში—„რა გინდათ იქა, საინტერესო არა არის-რაო“—და ამით, რასაკვირველია, ორივე წრე ზარალობდა: პირველმა წრემ სამი წარმოდგენის გამართვის შემდეგ დალია სული, ხოლო მეორემ, წ. კ. გ. ს-ისამ, თითქმის ხუთი თვე იბოგინა და დრო-გამოშვებით მართავდა წარმოდგენებს. წარმოდგენები ყოველთვის კარგად იდგმებოდა, საკმაო ხალხიც ესწრებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ცუდ ამინდებში უხდებოდათ წარმოდგენების მართვა. ამ წარმოდგენებს, ცოტად თუ ბევრად განათლების სხივი შექონდა ხალხში და თანდათან აღვიძებდა ხელოვნებისა და სამშობლო სცენისადმი სიყვარულს. მაგრამ სავალალოდ, ვით შეჰფერის ჩვენს უზრუნველ, დაუდევარ ინტელიგენციას, ამ კეთილმა საქმემ მუშაობა შეწყვიტა ამ ორი თვის წინ (16 მარტს), მეთაურთ მიზეზად დაღლილობა გამოაცხადეს და მის მერმედ არც-კი მოსვლიათ აზრად ერთი წარმოდგენა მაინც გაემართათ. რას ნიშნავს ეს?.. ნუ თუ არ ეყოფათ ამდენი ხნის დასვენება?!

სწორედ, გასაკვირია ამ წრის უმოქმედობა: როდესაც ცუდი ამინდები იყო (ზამთარში), თითქმის ყოველ კვირას თამაშობდენ, რაც დეფიციტსაც იძლეოდა, ახლა-კი, როდესაც ზაფხულის მშვენიერი დღეებია და ხალხსაც მეტი მოთხოვნილება აქვს თეატრისა, გულხელდაკრეფილი სხედან და სადათას ძილს მისცემიან...

დროა, ბატონებო, გამოიღვიძოთ და იმოქმედოთ...

**ს. კიკაჩეიშვილი**

## თეატრი საბურთალოზე

დიდი ხანია საბურთალოს ანტელიგენციის ერთმა ნაწილმა განიზრახა ადგილობრივ დაეარსებინა რამე საკულტურო დაწესებულება, ხალხის ფართო მასაში აღძრულ უსაჭიროეს მოთხოვნილობათა დასაკმაყოფილებლად.

ამ მიზნის მისაღწევად მიმდინარე წლის მარიამობისთვის შუა რიცხვებში ბ-ნ პავლე ხეთაგაშვილის სახლში გაიმართა პირველი კრება, ათი კაცისაგან შემდგარი. ამ კრებამ გადასწყვიტა დაეარსებინა სცენის მოყვარეთა წრე—სახელად „საბურთალო“, რუსულ, სომხურ და ქართულ ენებზე წარმოდგენების გასამართავად საბურთალოს ფარგალში.

მეორე კრება მოხდა ერთი თვის შემდეგ, ნ. კაპანაძის სახლში, რომელზედაც დაესწრო ოცდაერთი წევრი. აქ შეიმუშავეს წესდება და ამოირჩიეს ორი წარმომადგენელი, ბ-ნი გიორგი მაღრაძე და პავლე ხეთაგაშვილი, რომელთაც დაევალა წესდების დამტკიცებაზე ზრუნვა და საერთოდ სათეატრო საქმის მოწესრიგება. წესდება წარდგენილი იქმნა 26 ნოემბერს 1914 წ., 20-ს მაისს უკვე დაამტკიცა გუბერნატორმა.

საზოგადოება უკვე შეუდგა მუშაობას, ამ ერთ კვირაში საერთო კრება მოხდება, რომელზედაც მიღებულ იქმნებიან გამგეობის წევრნი და აირჩევა გამგეობა. საზოგადოებას ჯერხნობით ორმოც წევრამდე ჰყავს. საწევრო ფული ერთი მანეთია, რომლის გადახდა წვრილ წვრილათაც (თვეში ხუთ შაური) შეიძლება.

ვუსურვებთ ამ წორჩ საზოგადოებას მუყაითობასა და მხნე მუშაობას ხალხის სასარგებლოდ.

**საბურთალოელი**

## წვრილი ამბები

### სამშობლოში

✦ **პირველი ქართული წარმოდგენის 125 წლის თავი** სრულდება მომავალ 1916 წ. განზრახულია ეს შემთხვევა შესაფერად აღინიშნოს.

✦ **ქართულ სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობის** წევრნი თბილისში ყოფნის დროს დაჰპატიჟეს საეკლესიო, წ. კ. ს. და ქართ. ისტ. ეთნოგრაფიულ საზ მუზეუმებმა, თბილისის სახაზანო და არტისტიულ თეატრებმა და სახალხო სახლმა. ყრილობის წევრთ ამ მიწვევით ჯერჯერობით ვერ ისარგებლეს, მიუცლელობით დილა-სალამოთი საზოგადო და კერძო კრებებში მონაწილეობის გამო.

✦ **საგულისხმო ლექციას** წაიკითხავს კოკი აბაშიძე, ამ ახლო ხანში, ქართულ კლუბის დარბაზში შემდეგ თემზე: „არჩილ ჯორჯაძე, როგორც სიცოცხლის აზრის მაძიებელი“.

✦ **ნინო ნაკაშიძის პიესა „ვინ არის დამნაშავე?“**-ს, რომელიც გასულ კვირას უნდა წარყოედგინათ, დღეს წარმოადგენენ ქართულ თეატრში შალვა დადიანის ხელმძღვანელობით. პიესა ფრიად საგულისხმოა და შესაფერ დროსაც იდგმის.

✦ **გრიგოლ რობაქიძე კოტე მესხის** გარდაცვალების შესახებ გვწერს: „ახლა გავიგე კოტე მესხის სიკვდილი, მეტად დავღონდი: აღარ არის მესხთა გვარის საუკეთესო შტო: მახვილი, დინჯი, გულკეთილი, ჭკვიანი, მოსწრებული...“

✦ **ქართველ სცენის მოღვაწეთა ყრილობის** თაოსნობით 13 ივნისს გადახდილ იქმნა პანაშვიდი ქართულ თეატრის მოღვაწეთა სულის მოსახსენებლად. საზოგადოება ბლომად დაესწრო.

✦ **დაიწვა სად. მიხაილოვოს** რკინის გზის საკრებულო, რომელშიაც მოთავსებული იყო სცენა. ეს მოხდა 8 ივნისს, რუსული წარმოდგენის („Анфиса„) დროს. ხალხი მშვიდობიანად გადარჩა.

✦ **მსახიობქალი დ. რჩეულოვისა,** რომელიც თითქმის 30 წელიწადი ემსახურებოდა ქართულ სცენას, ამ ჟამად უკიდურეს სიღარიბეშია.

✦ **გიორგი ჯაბადარმა** ფრანგულიდან სთარგმნა ანატოლ ფრანსის რომანი თეატრის ცხოვრებიდან.

✦ **მუსიკოსმა ანდრია ყარაშვილმა უკვე დაასრულა** თავისი ქართული ოპერის „რუსთაველის“ მეოთხე მოქმედება „ფატმანის წვეულება ავთანდილის პატივსაცემად“ (გუნდი, ანსამბლი და ბალეტი).

✦ **ახალი სიმღერა** „დავრდომილი სნეული“ (სიტყვები კ. მაყაშვილისა), ან. ყარაშვილის მიერ ნოტებზე გადადებული, გამოვიდა.

✦ **მსოფლიო თეატრის ისტორიასა სწერს** ივ. ტიმ. პოლუმორდვინოვი. პირველად რუსულად დაიბეჭდება (ამ წლის ენკენისთვემდე), შემდეგ ქართულად. ქართულ გამოცემაში ქართულს თეატრის შესახებაც იქნება მასალები.

✦ **მგოსანმა ი. გრიშაშვილმა** შეადგინა ყარაჩოღელთა (თბილისის მდაბიო ხალხის) სიტყვების ლექსიკონი 300 სიტყვამდე) და ეთნოგრაფიულ საზოგადოებას გადასცა დაიბეჭდება ეთ. საზ. კრებულში.

✦ **მივიღეთ ახალი წიგნი** ოთხ-მოქმედებიანი პიესა „სოფლის მასწავლებელი“ (სცენები კოოპერაციის განვითარებიდან) „თეატრი და კოოპერაციის“ დამატებით ი. გაბილაიასი. დაბეჭდილია სუფთად, ხელისმოწერით—20 კ. ფასი—35 კ. ყდით.

✦ **„მეუფე ურიათას“** თარგმანის ნაწილი აღმოჩნდა კ. მესხის ხელთნაწერებში. დანარჩენის თარგმნა აღგვითქვა გრიგოლ ყიფშიძემ. ბეჭდვას მოკლე ხანში განვაახლებთ.

✦ **მუსიკოსი დ. არაყიშვილი** ხვალ, ორშაბათს, 16 ივნის გამართავს მეორე კონცერტს.

✦ **ოზურგეთის თეატრი** აკურთხეს 1 ივნისს მრავალი საზოგადოების თანადასწრებით. საღამოთი წარმოადგინეს „კრეჩინსკის ქორწინება“, ვლ. მესხიშვილისა და ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით, 8 ივნისს გაიმართა მხიარული საღამო ი. გრიშაშვილის მონაწილეობით.

## კოტე მესხის მეგლის ფონდის გასამლიერებლად

ქართველ ფარმაცევტთა შორის მოგროვილი და ალექსანდრე ძოწენიძის მიერ წარმოდგენილი. შემოსწირეს:

**სამი მანათი**: გვანცელაძემ; **ორი მანათი**: ანდრონიკაშვილმა რ; **მანათ-ნახევარი**: ფარმაცევტების ამხანაგობამ; **თითო მანათი**: არაზოვმა მ., ძოწენიძემ ალ., ახვლედიანმა ონ., მეძმარიაშვილმა ალ., მგალობლიშვილმა გრ., ნადარეიშვილმა ს., ავალიანმა კ, ობოლაძემ ი., კანდელაკმა ა, ჩარგეიშვილმა კ., ჩიკვაიძემ ნ., გოგორიშვილმა ა., ალხაზიშვილმა ლ., ჩიქოვანმა თ., ნანეიშვილმა ს., ედიგარაშვილმა, ჯაფარიძემ კ., მატარაძემ ალ.; **ათ-ათი შაური**: კორძახიამ, ბადარეიშვილმა ი., კვინიკაძემ შ., ნარუაშვილმა ეპ., მშვიდობაძემ არ., მაღლაფერიძემ, ბერიძემ მ., შერმადინმა ივ. **სულ 28** მ. **50** კ.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

## ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი




**იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით.**

ჟურნალში დაიბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, კრიტიკული განხილვანი, დახასიათებანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სამეცნიერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხ.

**ყოველს ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი.**

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარგარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი და მხატვარ-ხელოვანნი.

**ჟურნალის ფასი:** წლიურად—**5** მ, (წლის დამლევამდე—4 მ.). ნახევარი წლით—3 მ., თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

**ხელისმოწერა მიიღება:** ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაპანის" სტამბაში) დილით 10—2 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифлисъ, ред. жур. „**Театри да Цховреба**" Іосифу Имедашвили.

ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებანიც მიიღება იქვე. ტელეფონი № 15-41

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**


**მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთ.**

წელიწადი მეოთხე | **თემი** | წელიწადი მეოთხე

**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**
**გამოდის ორშაბათობით**

წლიურნი ხელის მომწერელნი მიიღებენ **2** საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება **აკაკის** პოემა „**რაჭა-ლეჩხუმი**", რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა; 2) **ნ. ა. დუბროვსკის** თხზულებას „**ავგუსტ ბებელი**", რომელიც საკუთრად „თემი"-სთვის არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თემი"-ს რედაქციაში (ოლგას ქ., სახ. დიასამიძისა, № 4).

**ფასი გაზეთისა:** წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კ. კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

მისამართის გამოცვლა თბილისს გარეშე 40 კ.

მისამართი: Тифлисъ, Ольгинская № 4, д. Діасамидзе, редакція газ. „**Теми**".

რედ.-გამომცემელი **გრ. დიასამიძე**



**იმერეთი** ყოველდღიური საპოლიტ.-სალიტ გაზეთი

ახალი რედაქციით და თანამშრომლებით

წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით 4 აბაზი, ცალკე ნომერი—5 კ.

საზღვარ გარედ წლიურად—15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება.

**მისამართი:** Кутаисъ, ред. газ. „**Имеретн**".

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჰელიძე**



**გამოდის ქუთაისში 3 მარტიდან ორშაბათობით**

**შრომა**

**სალიტერატურო-საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი.**

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

**გაზეთის ფასი:** წლით—2 მ. 50 კ. ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ. საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред, еженед. груз. газеты „**Шрома**".



Типографія „**Гермесъ**" სტამბა „**ჰერმესი**"

# მიიღება დასაბეჭდად განცხადებანი


**ექიმი ა. ო. იაშვილი**
(თბილისის საქალაქო 1-ლ ნაწილის მკურნალი)
შინაგან ავადმყოფობათა.
დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.
წყნეთის ქ., № 19.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
(ორდინატორი თბილ. სარკინის გზო საავადმყოფოსი)
კანის, ვენერიული და ათაშანგისა
შუადღით 1—$2^1/_2$ ს., საღამოთ 6—8 ს
მოსკოვის ქ. № 4.

**ექიმი ივ. გ. გომართელი**
შინაგან ავადმყოფობათა
პირველ ივნისიდან
ბორჯომში

კბილის ექიმი
**ექიმი ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს
დილის 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.
გოლოვინის პრ., № 12

**ექიმი ვ. დ. ლამბაშიძე**
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.
ვარდის უბნის ქ. № 9.

**ექიმი გ. გ. მაღალაშვილი**
შინაგან ავადმყოფობათა
დილით 8—10 ს.
ოლგას ქ. № 39.

**ექიმი ნ. ე. თიკანაძე**
(თბილისის საქალაქო მკურნალი)
შინაგან სნეულებათა
დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს.
კიროჩნი ქ. № 18.

ხელოვნურად სამკურნალო და
შეზავებული ხილეულობის წყალი

**მიტროფანე ლაღიძე და ამ.**

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან. წმინდა შაქარით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისთვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება; თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 4-11. ქუთაისში—პუშკინის ქ. № 5.

(20—14)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ.
საღამოთი 6—7 ს.
მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16

**ექიმი გ. ფ. ნათიშვილი**
კანისა, ვენერიული და სიფილისისა
დილით $11^1/_2$—1 ს., საღამოთი 6—7 ს.
მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

**Воспоминанія**
и
ХАРАКТЕРИСТИКИ
**Г. М. ТУМАНОВА**
Въ 3-хъ вып. Цѣна кажд. вып. **75** к.
Складъ у автора, Барятинская № 6.
(5—8)

**ექ. ვახტანგ ლამბაშიძის**
**სანატორიუმი**
პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე
ქალ-ვაჟთათ ვის 8—5 წლამდე
დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.
მისამართი: თბილისი ექ. ვ. ლამბაშიძე
ვარდისუბნის ქუჩ. № 9
(წ.)